ცხადდება კონკურსი
თსუ-ს სამივე საფეხურის სტუდენტებისათვის და
აკადემიური და ადმინისტრაციული პერსონალისთვის
პორტოს უნივერსიტეტში, მინიოს უნივერსიტეტში, ავეიროს უნივერსიტეტში
და ტრაზ-უჟ-მონტიშისა და ალტუ-დორუს უნივერისტეტში (პორტუგალია)
ევროკომისიის მიერ დაფინანსებული MIND კრედიტ-მობილობის პროგრამის
სტიპენდიების მოსაპოვებლად

პორტოს უნივერსიტეტი MIND საერთაშორისო კრედიტ-მობილობის პროგრამის ფარგლებში, კონსორციუმის სამ პარტნიორთან, ტრაზ-უჟ-მონტიშისა და ალტუ-დორუს უნივერსიტეტთან, ავეიროს უნივერსიტეტთან და ევორას უნივერსიტეტთან ერთად აცხადებს აპლიკაციის მიღებას გაცვლით პროგრამაზე.

აღნიშნულ კონკურსში მონაწილეობის მიღება შეუძლიათ:

1. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამივე საფეხურის სტუდენტებს, რომლებიც 2025/2026 სასწავლო წლის შემოდგომის სემესტრში იმყოფებიან: **ბაკალავრიატის** მესამე, მეოთხე, მეხუთე და მეექვსე და მეშვიდე, **მაგისტრატურის** პირველ, მეორე და მესამე, **დოქტორანტურის** პირველ, მეორე, მესამე და მეოთხე სემესტრში;
2. თსუ-ს **აკადემიური და ადმინისტრაციული პერსონალის წარმომადგენლებს.**

განაცხადების მიღება იწარმოებს **ა/წ 30 მაისის ჩათვლით** შემდეგი ვებ-გვერდის საშუალებით:
https://mindicm24.up.pt/

სასწავლო მიმართულებები (ინგლისურენოვანი ან პორტუგალიურენოვანი):
https://mindicm24.up.pt/courses

სტუდენტები:

- სოციალური და პოლიტიკური მეცნიერებები;
- ჰუმანიტარული მეცნიერებები;
- ზუსტი და საბუნებისმეტყველო მეცნიერებები;
- ეკონომიკა და ბიზნესი;
- იურიდიული;
- ფსიქოლოგია და განათლების მეცნიერებები;
- მედიცინა;

აკადემიური პერსონალი:

- სოციალური და პოლიტიკური მეცნიერებები;
- ჰუმანიტარული მეცნიერებები;
- ზუსტი და საბუნებისმეტყველო მეცნიერებები;
- ეკონომიკა და ბიზნესი;
- იურიდიული;
- ფსიქოლოგია და განათლების მეცნიერებები;
- მედიცინა;

ადმინისტრაციული პერსონალი:

- პერსონალის მართვა;
- საგარეო ურთიერთობები;
- ბიბლიოთეკა;
- სასწავლო პროცესის მართვა;
- საზოგადოებასთან ურთიერთობა;
- ხარისხის უზრუნველყოფა;
- ფინანსების მართვა

სტიპენდიატთა შესარჩევი პროცესი:

- შერჩევა/სტიპენდიის მინიჭება (მასპინძელი უნივერსიტეტი)

სააპლიკაციო დოკუმენტაციის ჩამონათვალი:
სტუდენტები:

1. ფოტო;
2. პირადობის მოწმობის ასლი;
3. პასპორტის ასლი;
4. ცნობა სტუდენტის სტატუსის შესახებ (ინგლისურ ენაზე ნათარგმნი და ნოტარიულად დამოწმებული);
5. ნიშნების ამონაწერი (ინგლისურ ენაზე ნათარგმნი და ნოტარიულად დამოწმებული);
6. ენის ცოდნის დამადასტურებელი დოკუმენტი (ენის საერთაშორისო სერთიფიკატი (FCE, IELTS, TOEFL - მინიმუმ B2 დონე, აღებული უკანასკნელი 6 წლის მანძილზე) ან თსუ-ს მიერ 2024/2025 სასწავლო წელს ორგანიზებული ინსტიტუციური ენის ტესტირების ჩაბარების დამადასტურებელი ცნობა);
7. CV-ს ევროპული ფორმატი (ინგლისურ ენაზე, არაუმეტეს ორი გვერდისა);
8. მოტივაციის წერილი (ინგლისურ ენაზე, ავსებთ ონლაინ სააპლიკაციო ფორმაში);
9. მასპინძელ უნივერსიტეტში ასარჩევი საგნების ჩამონათვალი (გაიარეთ კონსულტაცია თქვენი ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურში და მხოლოდ ამის შემდეგ შეავსეთ ონლაინ აპლიკაციაში მოცემული ფორმა);
10. ერთი სარეკომენდაციო წერილი (Support Letter; ინგლისურ ენაზე, პროფესორის ხელმოწერითა და ფაკულტეტის ბეჭდით დამოწმებული);
11. ნაკლები შესაძლებლობების სტატუსის არსებობის დამადასტურებელი ცნობა (*სტატუსი უნდა დასტურდებოდეს კომპეტენტური ორგანოს მიერ გაცემული ცნობით*);
12. ბაკალავრის დიპლომი და დიპლომის დანართი (სავალდებულოა, მაგისტრატურის სტუდენტებისთვის);
13. მაგისტრის დიპლომი და დიპლომის დანართი (სავალდებულოა, დოქტორანტურის სტუდენტებისთვის);

აკადემიური/ადმინისტრაციული **პერსონალი:**

1. ფოტო;
2. პირადობის მოწმობის ასლი;
3. პასპორტის ასლი;

4. ცნობა პერსონალის მართვის სამსახურიდან სამუშაოს მოკლე აღწერილობით (ინგლისურ ენაზე ნათარგმნი და ნოტარიულად დამოწმებული);
5. უცხო ენის (ინგლისური ან პორტუგალიური) ცოდნის დამადასტურებელი დოკუმენტი;
6. მხარდაჭერის წერილი მშობლიური უნივერსიტეტიდან (ინგლისურ ენაზე, ხელმოწერითა და ბეჭდით დამოწმებული);
7. მოტივაციის წერილი (ინგლისურ ენაზე, ავსებთ ონლაინ სააპლიკაციო ფორმაში);
8. სამუშაო გეგმა (ინგლისურ ენაზე, ავსებთ ონლაინ სააპლიკაციო ფორმაში);
9. უმაღლესი განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი;

სტიპენდიის ხანგრძლივობა:
სტუდენტები: 4 თვე (2025/2026 სასწავლო წლის შემოდგომის სემესტრი)
პერსონალი: 5 სამუშაო დღე + 2 მგზავრობის დღე

სტიპენდია მოიცავს:

- **სტუდენტები**: ყოველთვიური სტიპენდია 850 ევროს ოდენობით + ორმხრივი საერთაშორისო მგზავრობის დაფინანსება + საერთაშორისო დაზღვევის დაფინანსება
- **პერსონალი:** 170 ევრო დღიური სტიპენდია + ორმხრივი საერთაშორისო მგზავრობის დაფინანსება + საერთაშორისო სამოგზაურო დაზღვევის დაფინანსება

შერჩეულმა სტიპენდიატებმა (სტუდენტებმა) თავად უნდა აანაზღაურონ სავიზო მოსაკრებლის ხარჯები!

არასრული ან/და დაგვიანებული განაცხადები არ მიიღება!!!

დამატებითი ინფორმაციისთვის იხილეთ დანართში:

1. განაცხადის გაკეთების სახელმძღვანელო
2. ხშირად დასმული კითხვები

დამატებითი კითხვების არსებობის შემთხვევაში დაგვიკავშირდით შემდეგი ელ-ფოსტის საშუალებით: outgoingmobility@tsu.ge